საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7917/01
18/08/2020

7917-01-2-202008181241

ა/ო ,,მწვანე ალტერნატივა''-ს აღმასრულებელ
დირექტორს, ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 6 აგვისტოს შემოსული #04/02-268 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დამგეგმავი ორგანო ვალდებულია სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარუდგინოს სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი მისი შემუშავების შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე. ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი სგშ-ის სკრინინგის გადაწყვეტილების/სკოპინგის დასკვნის/სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტზე რეკომენდაციის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს დამგეგმავი ორგანოს მიერ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ამასთანავე, 2020 წლის 28 აპრილის N04/02-249 (სამინისტროს რეგისტრაციით N6547) თქვენი წერილი შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილ იქნა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიაში. იხილეთ 2020 წლის 21 მაისის სამინისტროს N4707/01 და ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 11 ივნისის N1698/09 წერილები.

დანართი 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044